სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №01/100

10 ნოემბერი 2015 წელი

ქ. რუსთავი

ერთი მხრივ, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ლაშა ლობჯანიძეს სახით და მეორე მხრივ, ი/მ კახაბერ გოგილაშვილი (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ცისანა გაბეშიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" (გამარტივებული შესყიდვა) ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 ,,მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მთარგმნელობითი მომსახურება. (CPV 79500000)

2.2 სათარგმნი გვერდების რაოდენობა: 27 (ოცდაშვიდი) გვერდი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **297.00** (ორას ოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 ერთი გვერდის თარგმნის ღირებულება: 11.00 (თერთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარი.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება შესაბამისი მომსახურების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან **ი/მ კახაბერ გოგილაშვილი**-ს წარმომადგენელი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- ,,მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ)განახორციელოს მომსახურება სათანადო პროფესიული ტერმინოლოგიის დაცვით. ნათარგმნი შესრულებული უნდა იყოს შესაბამისი ენობრივი სტანდარტების და ნორმების დაცვით-შინაარსობრივად, სტილისტურად და გრამატიკულად გამართული სახით.

გ) თარგმნა განახორციელოს ქართული ენიდან-ინგლისურ ენაზე.

დ)ნათარგმნი ტექსტი წარუდგინოს შემსყიდველს როგორც ამობეჭდილი ისე ელექტრონული ფორმით კომპაქტურ დისკზე.

ე) წარმოდგენილი თარგმანი დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით)

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 ,,მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,5%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **5%**, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

11. დაუძლეველი ძალა

11.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20 საიდენტიფიკაციო კოდი №216433287 სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბ/კ № TRESGE22 ა/ა № GE24NB0330100200165022	ი/მ კახაბერ გოგილაშვილი მის: ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ. №20 საიდენტიფიკაციო კოდი №35001013043 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ № BAGAGE22 ა/ა № GE78BG0000000143821500
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	**ი/მ კახაბერ გოგილაშვილი-ს მინდობილი პირი**
ლაშა ლობჯანიძე	*ცისანა გაბეშია*

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: პაატა პაპელიშვილი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. რუსთავი 10 ნოემბერი 2015 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **ი/მ კახაბერ გოგილაშვილი**-სგან მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე ლაშა ლობჯანიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური
განვითარების სამსახურის უფროსი პაატა პაპელიშვილი

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1-1802

საქართველო

ორი ათას რვა წლის თექვსმეტ აპრილს მე, *ნანა ხევიაშვილს*, ნოტარიუსის შემცვლელ პირს ქ.რუსთავში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.რუსთავი, **კოსტავას გამზირი № 30, პირველი სართული მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა** პირმა, ბატონმა ***კახაბერ გოგილაშვილმა***, მან განაცხადა, რომ იგი წარმოადგენს ი.ს. " კახაბერ გოგილაშვილი"-ს მეწარმეს, საიდენტიფიკაციო № 116401517, მოქმედებს მისი სახელით, იგი უფლებამოსილი პირია წარმოადგინოს ი.ს. " კახაბერ გოგილაშვილი", თანახმად გადასახადის გადამხდელის მოწმობისა, სერია რს № 1727 გაცემული რუსთავის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 27.07-ს. მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით დავრწმუნდი რომ ჩემს სანოტარო ბიუროში ნამდვილად ***კახაბერ გოგილაშვილმა***, /დაბადებული 1977 წლის 18.12-ს რუსთავში, პირადი № 35001013043, პ/მოწმობა № გ 1044789 გაცემული 2007 წლის 28.03-ს სრს რუსთავის სამსახურის მიერ, **რეგისტრირებული რუსთავში, ბათუმის ქუჩა, კორპ. № 30, ბინა 22)** მომმართა.

მე მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ მე შევადგინე მინდობილობა, მე მას ხმამაღლა წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. ***კახაბერ გოგილაშვილმა განაცხადა, რომ*** იგი სრულად შეესაბამება მის ნებას, რის შემდეგ ***მან*** ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი შინაარსის მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ი.ს. " კახაბერ გოგილაშვილი"-ს მართვაზე გასხვისების უფლების გარეშე

ორიათას რვა წლის თექვსმეტ აპრილს მე, კახაბერ გოგილაშვილი, (რომლის რეკვიზიტები მითითებულია სანოტარო აქტში) ამ მინდობილობით სრულ უფლებამოსილებას ვანიჭებ *ცისანა გაბეშიას*, (დაბადებული 1956 წლის 27.11-ს თბილისში, პირადი № 35001057143, პ/მოწმობა № ა 0459405 გაცემული 2003 წლის 13.10-ს რუსთავის შს სამმართველოს მიერ, რეგისტრირებული რუსთავი, ბათუმის ქუჩა № 30-22), აწარმოოს და მართოს *ი.ს. " კახაბერ გოგილაშვილი"-ს* საქმიანობა, ამის შესაბამისად დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება საწარმოს მართვასთან დაკავშირებით, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაცია გახსნილ ანგარიშზე, შეიტანოს და გამოიტანოს ფული, მოახდინოს გადარიცხვა, ამონაწერების მიღება, უფლებას ვაძლევ იყოს ჩემი წარმომადგენელი საგადასახადო ინსპექციაში, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებაში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე თანამდებობის პირთან, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს სათანადო ფორმით რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. აღნიშნული მოქმედების შესასრულებლად ვანდობ იმოქმედოს ჩემი სახელით: შეიტანოს განცხადება მიიღოს ცნობები და დოკუმენტები, ჩემს მაგიერ მოაწეროს ხელი და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია სხვა პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად.

გადახდილია სანოტაური: 5 სანოტარო მოქმედებათა შესრ.საზღ.შესახებ საქ.კანონი მ.29.ბ.7

ხელმოწერა: .....

ნოტარიუსის შემცვლელი პირი:

NOTARIUS NANA KHEIA
TBILISI, GEORGIA
116434867

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120095379
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.02.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის ასლის დამოწმება**
ნოტარიუსი	**თეიმურაზ ეჯოშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**რუსთავი ვ-ფშაველას 4-3**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	0341 250584
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96947981226612

2012 (ორიათასთორმეტი) წლის სამ თებერვალს მე, თეიმურაზ ეჯოშვილი ნოტარიუსი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. რუსთავი, ვ-ფშაველას 4-3, მომმართა ცისანა გაბეშიამ პირადი # 35001057143.. და მოითხოვა მინდობილობის ფოტოასლის დედანთან შესაბამისობის დადგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე ნოტარიუსი ქ. რუსთავში თეიმურაზ ეჯოშვილი ვამოწმებ ფოტოასლის დედანთან სისწორეს.
სანოტარო მოქმედება შესრულებულია 1. გვერდზე
გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 0.59 ლარი. დღგ-ს ჩათვლით. (თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011ნ. #507 დადგენილების 31-ე მუხლისა)

ნოტარიუსი თ. ეჯოშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18